

# პროფესიონალი

№70

PROFESSIONAL

შპს 2 ლარი

**პერს უბანი**



მ.თბილისი,თარხნიშვილის ქაიხ 2  
5-6 სართულიანი სასაზღვაო სახლი  
საპროექტო სართილი ფართობი 2000-2200 კვ.მ  
ფართობი: 10 000 კვ.მ აპროექტი-2000 კვ.მ  
შენიშვნა: (2013-2014) მისანი 50 კვ.მ - 50%

**გამომწვევი ფონი**  
 ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ.№1  
**+995 557 100 100**  
 Mob: **+995 557 500 500**

**გაყიდვების ფონი**  
 თბილისი, თარხნიშვილის ქ. №21  
**+995 599 525 525**  
 Mob: **+995 599 522 522**  
 welcome@gumbatigroup.ge  
 www.gumbatigroup.ge



**მშენებლობა და განვითარება**



# სუბტროპიკსიტი

მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი



**მშენებლობა და განვითარება**

**WWW.SUBTROPICITY.GE**



1 SHEARIF KHMISHVILI STREET, BATUMI

MOB: + 995 557 500 500 + 995 557 100 100

Info@subtropiccity.ge

# ბიზნესობსერვატორი

### საქართველო-საქართველო

საქართველო-საქართველო კომპანია...

### KAVKAZENERGOREMONT

კავკასიის ენერჯი რემონტი...

### საგარეო ადვოკატის რეკომენდაცია

საგარეო ადვოკატის რეკომენდაცია...

### ყვალაჯარი სასიკეთოდ დასრულდა

ყვალაჯარის სასიკეთო პროექტი დასრულდა...

### გარდაბანი მანქანების მანქანების ინვესტიციის განხორციელება

გარდაბანში მანქანების მანქანების ინვესტიციის განხორციელება...

### არსებული რესურსი ეფექტურად უნდა გამოიყენოს

არსებული რესურსი ეფექტურად უნდა გამოიყენოს...

### შავიყვავილი მშენებლობის შესახებ

შავიყვავილი მშენებლობის შესახებ...

### „გორჯომის პალასი“

„გორჯომის პალასი“ - ლუკმატაშვილის რეკონსტრუქციის პროექტი...

მთ.რედაქტორი:  
ელა ლუღაჯვი  
სარედაქციო ყოფილია  
მისამართი:  
თბილისი, ვ. ივანოვიძის ქ. №6  
ტელ.: 299-82-60

ყურნალი მოქმედებს თავისუფალი ჰრესის ჰრინციპით. ავტორი თავად აგებს ჰასუნებს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ყურნალისტის ჰოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი ჰარტიისა თუ ჰოლიტიური დაჯგუფების ინტერესებს.

**E-mail: profesionali@mail.ru 28.01.15-28.02.15**

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ყურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა



# დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიური პოლიტიკის კომიტეტის სხდომა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვაკანტურ თანამდებობებზე ასარჩევი კანდიდატების საკითხი განიხილა გამართულ სხდომაზე პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა. საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა, გიორგი კვერენჩილაძემ კომიტეტს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი 9 კანდიდატის ბიოგრაფია გააცნო.

თითოეულმა კანდიდატმა საკუთარი კონცეფციის, გეგმებისა და მოტივაციის შესახებ ისაუბრა და კომი-



ტეტის წევრთა შეკითხვებსაც უპასუხა, რის შემდეგაც კომიტეტმა, შესაბამისი პროცედურების დაცვით, შიდასაკომიტეტო ფარული კენჭისყრა ჩაატარა, რომელშიც კომიტეტის 11 წევრი მონაწილეობდა. თუმცა, საკითხთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილებას პარლამენტი პლენარულ სხდომაზე მიიღებს.

სხდომაზე კომიტეტმა „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ კანონპროექტი განიხილა მეორე მოსმენით. წარმოდგენილი კანონპროექტით ძალადაკარგულად ცხადდება 2002 წლის 19 ივნისის მიღებული კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ და ახალი სახით ყალიბდება სააგენტოს მარეგულირებელი ნორმები მაგალითად, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს საქართველოს მთავრობა განახორციელებს, რასაც აქამდე სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო აკეთებდა. სააგენტოს კომპეტენციას ემატება საინვესტიციო პროექტების მონიტორინგის და კოორდინაციის ფუნქცია, ასევე ემატება ბიზნესის და საინვესტიციო საკითხებზე კვლევების წარმოების ფუნქცია. კომიტეტმა კანონპროექტი მუხლობრივად განიხილა და მხარი დაუჭირა მის პლენარულ სხდომაზე განსახილველად გატანას.

პირველი მოსმენით განიხილეს კანონპროექტი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რაც ითვალისწინებს ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით ტესტირების ვადის გადაწვევას 2017

წლის 31 დეკემბრამდე, 2015 წლის 1 მარტის ნაცვლად. პროექტით ასევე განსაზღვრულია, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობები, რომლებიც დაექვემდებარება ტესტირებას. კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კანონპროექტის კონცეფციას, თუმცა მოითხოვა მეორე მოსმენისთვის გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინება.

კომიტეტმა ასევე განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „2010 წლის 28 დეკემბერს ხელმოწერილ „საქართველოს და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის (საქართველო - ვარდნილის და ენგურჰეისის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი) ფინანსურ ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ წერილი-შეთანხმება.

პროექტი ითვალისწინებს ვარდნილის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის რეაბილიტაციას და გალის წყალსაცავზე და ვადრნილის არხზე უსაფრთხოების აუცილებელი ზომების განხორციელებას.

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გია ჟორჯოლიანმა „ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსში“ შესატანი ცვლილების პროექტის პრეზენტაციაში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოსთან“ ერთად „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესატანი ცვლილების პროექტის პრეზენტაცია გამართა. შეხვედრას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გია ჟორჯოლიანი და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტი თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების გაუმჯობესებასა და მონაწილეობის ახალი ფორმების დანერგვას ითვალისწინებს. კანონპროექტით გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთი ფორმა, როგორც არის სოფლის/დაბის/ქალაქის საერთო კრება, რომელიც დასახლებისა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და ამ ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას უზრუნველყოფს.

ამასთან, კანონპროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ავალდებულებს: განიხილოს საერთო კრების მუდმივმოქმედი ორგანოს განცხადებები, მოთხოვნები და აცნობოს მას განხილვის შედეგების შესახებ. გამგეობასთან/მერიასთან, როგორც სათათბირო ორგანო,

ყალიბდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. პროექტში ახლებურად არის წარმოდგენილი პეტიციის წარდგენის წესი, მნიშვნელოვნად უმჯობესდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტებიც.

წარმოდგენილი კანონპროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მომზადდა. პროექტში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციებიც არის გათვალისწინებული.

რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ, ერეკლე ტრიპოლსკიმ, მთის კანონის მიღებასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა

8 თებერვალს საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ, ერეკლე ტრიპოლსკიმ, მთის კანონის მიღებასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე საუბარი მთის კანონთან დაკავშირებულ ასპექტებს, მიგრაციულ პროცესებს, გადასახა-

დების შემცირებას და მათ გაუქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხო. ყურადღება გამახვილდა პედაგოგების და ექიმებისთვის ხელფასების გაზრდის, მაღალმთიან სოფლებში სკოლების შენარჩუნების და მათი რეაბილიტაციის მნიშვნელობაზე. მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმების განსაზღვრის ირგვლივ დისკუსია გაიმართა.

რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ, ერეკლე ტრიპოლსკიმ აღნიშნა, რომ მთის კანონის მიღება საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება და ამასთან დაკავშირებით, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. მან მაღლობა გადაუხადა სტუმრებს აქტიური დისკუსიისთვის და თანამშრომლობის გაგრძელება შესთავაზა.

შეხვედრას პარლამენტის წევრები: ზურაბ ტყემალაძე, გიორგი თოფაძე, ნოდარ ებანოიძე, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილე კობა არაბული, საქართველოს განათლების მინისტრის მრჩეველი ოთარ აბესაძე და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა დღევანდელ სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა კანონპროექტი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ, რომელიც მედიაციის სამსახურის ლიკვიდაციას ითვალისწინებს.



როგორც მომხსენებელმა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, დავით ლომიძემ განაცხადა, მოცემული ეტაპისთვის, როდესაც მოხდა მოსახლეობის სამედიცინო სერვისების საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში სრული ინტეგრირება, მედიაციის სამსახურის საჭიროება აღარ არსებობს. მის ფუნქციებს ერთი მხრივ სოციალური მომსახურების სააგენტო, მეორე მხრივ სამედიცინო რეგულირების სამსახური გადაინაწილებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის უფროსმა, გიორგი მინდიაშვილმა კომიტეტს პირველი მოსმენით განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად სწორდება მოქმედ კანონში არსებული ტექნიკური და გრამატიკული ხასიათის ხარვეზები.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის“ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი დანართების შესახებ ხელშეკრულებაში შესატანი ნომერი ხუთი ცვლილება წარუდგინა განსახილველად. ცვლილება ითვალისწინებს ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი, როგორც ახალი კომპონენტების დამატებას, ასევე არსებული მიმდინარე კომპონენტებისათვის თანხების დამატება - გადანაწილებას.

კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი დოკუმენტების პლენარულ სხდომაზე განსახილველად გატანას.

# არსებული რესურსი ეფექტურად უნდა ვეატიოთ



**ქ**ვეყანაში ეკონომიკის განვითარებისა და მისი სტაბილიზაციის შენარჩუნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ცალკეული რეგიონების რეაბილიტაციის პროგრამების დამუშავებასა და მათ რეალიზაციას, რომელთა ხელშეწყობა ცენტრალური ხელისუფლების ძირითადი მიზანი უნდა გახდეს. ამ მხრივ, წამყვან სახელმწიფოებს დიდი ხნის გამოცდილება გააჩნიათ. სამწუხაროდ, საქართველოში რეგიონების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების რეალიზაცია მცდარი გზით და გარკვეული ხარვეზებით წარიმართა. პრობლემების მოწესრიგებისთვის მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური მექანიზმების ძიება და სრულყოფა, რაც შესაძლებელს გახდოდა გამოვლენილიყო რეგიონების სრული პოტენციალი. დღევანდელი მთავრობის რეგიონალური დოქტრინა შესაძლებლობას იძლევა კვალიფიციურად, საიმედოდ, მოკლე ვადაში, სახელმწიფოს ერთიან პოლიტიკასთან კავშირში გადაწყვიტოს ცალკეული რეგიონის განვითარების სტრატეგიული პრობლემები და ადგილობრივ ხელისუფლებას შეუქმნას საქმიანობის მართვის პრიორიტეტები. მთელი რიგი პრობლემური მიმართულებების და ბოლო დროს სკანდალურად განხილული საქმეების მიუხედავად, ბოლნისის რაიონში ცხოვრება თავისი კალაპოტით ვითარდება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება სახეზეა. გრძელდება რეგიონული ინფრასტრუქტურისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამების რეალიზაცია, რამაც ერთმნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთო ფონის გაუმჯობესებას. ამ მიმართულებით ჩვენივე საინტერესო საკითხებზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა **გომი მემ-ველიანმა** ისაუბრა...



**– ბატონო გომი, როგორი შედეგებით ეგებებით 2015 წელს?**  
 – 2014 წელი მინდა შევაფასო, როგორც მობილიზაციის წელი, რომელშიც მოხდა ფინანსური კრიზისის დაძლევა და სტაბილიზაცია. ჩვენი საქმიანობა ყველა მიმართულებით მეტნაკლებად ნაყოფიერი და წარმატებული იყო. 2014 წელს ქალაქში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო, რომელიც მოკლე პერიოდით შეფერხდა პროექტის დაზუსტების საჭიროების გამო, ხდება პროექტის გადახედვა, უფრო კარგად დამუშავება და ადაპტირება რეალობასთან. გარდა ამისა, ინტენსიურად ვმუშაობთ მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რათა მოხდეს საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის გაგრძელება. ეს საკმაოდ ძვირადღირებული პროექტია, რომლის ღირებულება დაახლოებით 11 მილიონი ლარია და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა ძალზედ მასშტაბურია. სწორედ ამ პროექტის განხორციელების შემდეგ მიგუბრუნდებით საგზაო ინფრასტრუქტურას. არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ერთი და იგივე საქმე რამდენჯერმე გავაკეთოთ. გარდა ამისა, გამოცხადებულია მოსაცდელების, ტროტუარებზე არსებული ქვაფენილებისა და ბორდიურების რეაბილიტაციის ტენდერი. ჩატარდა კონკურსი მუსიკალური სკოლის გათბობის სისტემის მოსაწყობად, შესაბამისად ბავშვებისა და იქ მომუშავე პერსონალის გათბობის საკითხი მალე მოგვარდება. ვგეგმავთ ბოლნისში არსებული სასაფლაოს ღობის რეაბილიტაციას და სასაფლაოზე სარწყავი სისტემის მოწყობას, რომ მოქალაქეებს საფლაოების მოვლის საშუალება ჰქონდეთ. აღდგომის დღესასწაულამდე ეს საკითხი მოგვარებული იქნება.  
 – **სარწყავი სისტემები საგაზაფხულო სეზონამდე**

**მოწესრიგდება?**  
 – საკითხი იმ დაფინანსების ფარგლებში გადაწყდება, რომელიც ადგილობრივ მუნიციპალიტეტს გააჩნია. მინდა მოსახლეობამ სწორად გაიგოს, რომ ცენტრალური და მნიშვნელოვანი მაგისტრალური არხები ისევ სარწყავი მელორაციის სამმართველოს პატრონაჟის ქვეშ რჩება. საუბარია შიდა არხებზე, რომლის გადმოცემაც ჩვენ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ვთხოვეთ. ეს არის ქალაქში არსებული რამდენიმე არხი, რომელთა მოწესრიგებაც მნიშვნელოვანია. გვინდა სარწყავ სეზონამდე მათი გაწმენდა-შეკეთება მოხდეს და მოსახლეობას ეს პრობლემა მოუგვარდეს.  
**– კიდევ რომელი პროექტების განხორციელებაა აქტუალური?**  
 – მასშტაბურად მიმდინარეობს გარე განათების მოწესრიგების საკითხები. განათება მონტაჟდება ელბას მთაზე, ბოლნელი მთავარებისკოპოსი ეფრემის თხოვნით იგება პეტრე-პავლეს ტაძრისკენ მიმავალი გზა, რომელსაც მუნიციპალური



განვითარების ფონდი აფინანსებს. ამ მონასტერს მხოლოდ რელიგიური მნიშვნელობა არ აქვს, ის შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი. ტურისტების მოზიდვა ყოველთვის საინტერესოა ეკონომიკის განვითარებისთვის. რაც მეტი ტურისტი გვევლინება ბოლნისში, მეტი შემოსავალი გაუჩნდება ჩვენს ბიუჯეტს, დატვირთვა ექნება უკვე არსებულ საოჯახო სასტუმროებს, კვების ობიექტებს, სავაჭრო ქსელს, ბენზინგასამართ სადგურებს. ყველა ტრანზიტულ მგზავრს უნდა ჰქონდეს საშუალება მონასტრის შემჩნევის და გაუჩნდეს იქ აბრძანების სურვილი. საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ადგილები, საიდანაც ასეთი მასშტაბის და სილამაზის ხედი იშლება. ასევე წარდგენილი გვაქვს მდინარე ხრამზე ტანშიდან ფიტარეთისკენ მიმავალი ხიდის პროექტი



და ვფიქრობთ, რომ მსგავსი ნაბიჯებით მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად მოვაწყობთ სრულყოფილ ტურისტულ ინფრასტრუქტურას.

**– სოციალურ და ჯანდაცვის პროექტებზე რას ვეუბნებით?**

– უახლოეს პერიოდში მოხდება ბოლნისის სასწრაფო დახმარების ავტოპარკის განახლება თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებებით, რომელიც საერთო მდგომარეობას შეამსუბუქებს. ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ რაიონში სრულყოფილი სამედიცინო სერვისები ფუნქციონირებდეს. საკმაოდ მოცულობითია ჩვენი სოციალური დახმარების პაკეტი. მინდა გამოვყო ჯანდაცვის თანადაფინანსების პროგრამა, რომელიც ყველაზე დიდი მიმართულებაა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთგვარადი დახმარების პაკეტი, სტუდენტების, წარმატებული სპორტსმენებისა და ეროვნული ნაკრების ასაკობრივი წევრების დაფინანსება. ასევე გვაქვს ახალი პროექტი – დავეხმარებთ ეკომიგრანტებს, ხანდაზმულებს, მარტოხელა მოზუცებსა და მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 57 000-ზე ნაკლები იქნება. შეიქმნება კომპეტენტური კომისია, რომელიც წელს საპილოტე რეჟიმში იმუშავებს და ამოარჩევს ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს. შევიმუშავებთ კრიტერიუმებს, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ სუბიექტური შეფასების შესაძლებლობა.

**– ბოლნისში სპორტული ცხოვრება მუდამ აქტუალური იყო...**

– სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ხანგრძლივი მსჯელობის შემ-

დეგ გადაწყვეტილი. „თემურ სტეფანიაზე“ შეკეთდება დრენაჟი, დაინერგება ახალი სარწყავი სისტემა და მოხდება არსებული საფარის განახლება და ერთი ტრიბუნის დემონტაჟი, რათა სათამაშო მოედანი გარკვეულ სტანდარტებში ჩაჯდეს. გადაწყვეტილი სხვა მოედნების რეაბილიტაციაც. საჭიროა, რომ ჩვენს ასაკობრივ გუნდებს, მათ შორის „სიონის“ დუბლშემადგენლობას ჰქონდეს წვრთნის და ტურნირების ჩატარების საშუალება. სწორედ ამან გამოიწვია რატევის და კაზრეთის სტადიონის რეაბილიტაციის აუცილებლობა. რაგბისთვის თავიდანვე განკუთვნილი იყო ნახიდურის სტადიონი და გესურს ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების გათვალისწინებით, მოედანი იმ კონდიციამდე მივიყვანოთ, რომ რაგბის გუნდს ჰქონდეს საშინაო თამაშების გამართვის საშუალება მანამდე, სანამ ბოლნისში ახალი სარაგბო კომპლექსი აშენდება.

**– სამომავლო გეგმებზე რას ვეუბნებით?**

– ძირითადი პრიორიტეტები ჯანდაცვა, სოციალური სფერო, სპორტი, ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური ტრანსპორტის დაფინანსება იქნება. რეგიონალური განვითარების ფონდში რამდენიმე პროექტი გვაქვს წარდგენილი. მათ შორისაა ბოლნისის ისტორიული კინოთეატრის რეკონსტრუქციის, ქალაქის რამდენიმე სანიაღვრე არხის მშენებლობის და ბაგაბაღების რეაბილიტაციის პროექტები. იგეგმება ბოლნისის თამარისის მარნეული-თამარისთან დამაკავშირებელი გზისა და დაბა კაზრეთში გადაამამუშავებელი კომბინატისაკენ მიმავალი დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის განხორციელებაც მრავალ პრობლემას მოუხსნის ადგილობრივ მოსახლეობას. გარდა ამისა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ახალი საწარმოების ამუშავება და ცხადია ყველაფერს გადავკეთებთ იმისათვის, რომ დაინტერესებულ პირებს ხელი მაქსიმალურად შევეუწყოთ. მნიშვნელოვანია, რომ არსებული რესურსი, რომელიც ამ მიმართულებითისთვის გვექნება გამოყოფილი, ეფექტურად ვმართოთ. რაც მთავარია ჩვენი ურთიერთობა მოქალაქეებთან არის ორმხრივი, მათ მუდმივ რეჟიმში ვესაუბრებით და ნებისმიერი არსებული პროექტი, რომელიც კითხვებს გამოიწვევს, მზად ვართ უკეთესობისკენ განვაგვიტაროთ. ვთხოვ, ჩემს თანამოქალაქეებს, გაგებით მოეკიდონ შექმნილ სიტუაციას. მინდა იცოდნენ, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყველა პრობლემას ხედავს და მაქსიმალურად ზრუნავს მათ მოგვარებაზე.



# გარდაბანში განხორციელდა ინვესტიციებმა ნახევარ მილიარდ დოლარს გადააჭარბა



**კ**ონომიკური რეფორმების მიმდინარე ეტაპი სრულიად ახლებურ მოთხოვნებს აყენებს საფინანსო და საკრედიტო სფეროების მიმართ. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში საინვესტიციო პროცესების სრულფასოვან განვითარებას, რომელიც საბოლოო ჯამში მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. გარდაბნის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლში მოწინავე რაიონია და უცხოელ მომხმარებელს საუკეთესო გარემოს სთავაზობს. ამის გამო მუნიციპალიტეტში კაპიტალდაბანდება დღითიდღე იზრდება და ბოლო წლის მანძილზე რაიონში ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიციაა შესული, რაც მთელ აღმოსავლეთ საქართველოში საუკეთესო მაჩვენებელია.



სო მაჩვენებელია. არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის, გარდაბნის მუნიციპალიტეტს მიმზიდველს ხდის. აზერბაიჯანთან ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი, რეგიონში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის მყარ საფუძველს წარმოადგენს. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **გარსევან ნიორაძე** მისდამი დაქვემდებარებულ რაიონში უკვე განხორციელებულ, მიმდინარე და სამომავლო პროექტებზე გვესაუბრა...

**– ბატონო გარსევან, მოგვიყევით რაიონში განხორციელებული პროექტების შესახებ...**

– ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, მე და ჩემი გუნდი ვცდილობთ განვხორციელოთ ისეთი პროექტები, რომელიც მოსახლეობას არა ერთი და ორი დღით, არამედ წლობით მოუგვარებს პრობლემას. ამას საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება, სახელმწიფო ორგანოებისგან სათანადო მხარდაჭერასაც

ში, იაღლუჯას მთაზე, ბიზნესმენი თემურ თაბაგარი ტურისტულ კომპლექსს ააშენებს, რომელსაც სპეციალურად შექმნილი სამშენებლო კომპანია „გრანდ მასტერი“ კორეელ და ევროპელ პარტნიორებთან ერთად განახორციელებს, მისი საინვესტიციო ღირებულება 30-მილიონი დოლარი იქნება და 130 ადამიანს დაასაქმებს. სოფელ კალინინოში ცხოველთა გრანულირებულ-კომბინირებული საკვების მწარმოებელი საწარმო გაიხსნა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და პირუტყვის, ფრინველისა და თევზისთვის გათვალისწინებულ 40 დასახელების უმაღლესი ხარისხის საკვებს აწარმოებს. ობიექტზე ამჟამად 25 ადამიანი დასაქმებული და სრული დატვირთვით ამოქმედების შემდეგ, მათი რაოდენობა 45-მდე გაიზრდება. გარდა ამისა, დამფუძნებლები სამომავლოდ მარცვლეულის საშრობისა და შესანახი მეურნეობის, ასევე სოფლის მეურნეობის რეგიონული უნივერსალური ლაბორატორიის შექმნასაც გეგმავენ.

**– კიდევ რა პროექტების დაფინანსება მოხერხდა?**

– 2014 წელს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი პროექტი დაფინანსდა და განხორციელდა. კრწანისის ტერიტორიულ ერთეულში, წმინდა მთავარანგელოზის მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე „წმინდა 300 არაგველის“ სკვერი გაიხსნა. სკვერის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 29 980 ლარი გამოყო. ეკლესიაში საზეიმო წირვა-ლოცვა გარდაბნის ეპარქიის მეუფე გრიგოლმა ადავლინა. საგანგებოდ ამ დღისთვის დამზადდა მემორიალი, რომელიც სკვერის შუაგულში დამონტაჟდა. რაიონის მასშტაბით ჩატარდა სასამელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, გადაიხურა საცხოვრებელი კორპუსები და შეკეთდა საკანალიზაციო



ვგრძნობთ და ჩვენი პრიორიტეტია, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში, ხარისხის გათვალისწინებით, ჩვენს მუნიციპალიტეტში პრობლემები მოვაგვაროთ. შესაბამისად, უამრავი მიმდინარე პროექტი გვაქვს: „გარდაბნის თბოსადგურის“ სამშენებლო სამუშაოების 70% შესრულებულია. თბოსადგურის აღჭურვილობისა და მასალების შესაძენად უკვე გადახდილია 181 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სამშენებლო სამუშაოების დასრულება 2015 წლის ოქტომბერშია დაგეგმილი. გარდაბან-

სისტემა. მოხდა ამბულატორიის საძირკვლის მოწყობა და საბავშვო ბაღების აშენება-რეაბილიტაცია, კეთილმოეწყო ლელაშხას საბანკეტო დარბაზი და გაკეთდა ქ. გარდაბანში არსებული ნაგავსაყრდის კონსერვაცია. განხორციელდა ეკლესიის სატრაპეზოს მოწყობა და სოფელ თელეთის მამათა მონასტრის კელიების გადახურვა, შეკეთდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა, მოხდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობის გადახურვა, გამგეობის წინ მდებარე ტერიტორიის კეთილმოეწობა.

**– სოციალური კუთხით რა მდგომარეობაა?**

– მარტყოფში თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და განთავსების ცენტრის მეორე ფართის მშენებლობა მიმდინარეობს. ცენტრი სამი განყოფილებისგან შედგება: ოჯახებისთვის, მარტოხელა ქალებისთვის და მამაკაცებისთვის. ბენეფიციარებს შესაძლებლობა ექნებათ, სპეციალური კურსების საშუალებით, ქართული ენა შეისწავლონ. მიღებისა და განთავსების ცენტრის ახალი შენობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აშენდება და მინიმუმ 50 ადამიანს უზრუნველყოფს დროებითი თავშესაფრით. გარდა ამისა, გასულ წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტში არამარტო საბავშვო ბაღების, არამედ აღმზრდელების, აღმზრდელთა დამხმარის, ექთნის, მუსიკის მასწავლებლის, მხარეულისა და დარაჯის ხელფასი 20%-ით გაიზარდა და პერსონალი გაზრდილ ხელფასს მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს აიღებს. თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია, მომავალი თაობების აღმზრდელთა შრომა დაფასებას იმსახურებს, ამიტომ ჩვენ ვგეგმავთ ხელფასები ეტაპობრივად გაზარდოთ და ამით ვაჩვენოთ ამ დაწესებულებებში დასაქმებულ ხალხს, რომ როგორც ფინანსურად, ასევე მორალური თვალსაზრისით, მათ გვერდში ვართ.

**– როგორც ცნობილია, რაიონში მსხვილმასშტაბიანი პროექტი დაფინანსდება...**

– მართლაც, მიმდინარე წელს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა მსხვილი ინოვაციური პროექტის განხორციელებას გეგმავს, რომელიც ახალსოფელის, მარტყოფის, ნორიოს, ვაზიანისა და ახალი სამკორის სასმელი წყლით მომარაგებას გულისხმობს. წინასწარჩვენო კაპიანის მიმდინარეობისას, გარდაბნის მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას პირადად დავპირდი და თანამდებობაზე არჩევის დღიდან, ჩემს გუნდთან ერთად, ამ საკითხზე საგანგებო მუშაობა და მოკვლევა დავიწყე. შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულება 4.5 მილიონ ლარს შეადგენს და პროექტის განხორციელებას ფინანსურად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს.

**– კიდევ რისი განხორციელება...**

**ბა იგეგმება სამომავლოდ?**

– გარდაბნის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებთ და მოსახლეობის სურვილს მაქსიმალურად ვითვალისწინებთ. მიმდინარე წლის განმავლობაში უამრავი პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ. კერძოდ, ქალაქ გარდაბანში იგეგმება შიდა გზების რეაბილიტაცია, რომლისთვისაც რეგიონალური ფონდიდან 400 000 ლარი გამოიყოფა. ასევე განხორციელდება მრავალსართულიანი სახლების გადახურვა-გამაგრება. რაიონის სოფლებში მოხდება სასმელი წყლის სისტემის შიდა ქსელის აღდგენა, ჩატარდება გზების და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რემონტი. მოეწევა სპორტული მოედნები, დაგეგმილია ნაპირსამაგრი სამუშაოები. ამ პროექტების განხორციელებლად, რეგიონალური ფონდიდან 5 020 000 ლარი გამოიყოფა. გარდა ამისა, სოფ. კაპანახში მდებარე „სს საქართველოს სათბურის კორპორაციის“ პროექტის ფარგლებში იგეგმება 35 ჰა სასათბურე მეურნეობის განვითარება. მისი ჯამური საინვესტიციო ღირებულება 40 მლნ ამერიკულ დოლარს შეადგენს. შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის ივლისში დასრულდება და წარმოებული პროდუქციის მოცულობა პირველ ეტაპზე წლიურად 4 000 ტონას გაუტოლდება. ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ შეიქმნება 80 სამუშაო ადგილი, რომლის ძირითადი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტდება. ამგვარად, ვიმედოვნებთ, რომ რაიონში წინსვლა არ შეჩერდება. მოხარული ვარ, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ხალხს ვემსახურებით და გუნდურად ვაკეთებთ ისეთ საქმეს, როგორცაა რაიონის სრული განვითარება.



# კავკასიური გორაკეობი

საპროექტო, ქ. ბარდახანი, აღმაშენებლის 6/52,



შპს „კავკასიური გორაკეობი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ენერგომოწყობილობათა სამონტაჟო სარემონტო სამუშაოების შესრულება და სხვადასხვა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები, ასევე ენერგოსისტემების მომარაგება სპეციალიზირებული ხელსაწყოებითა და დანადგარებით.

სტრუქტურულად საზოგადოება წარმოადგენს მრავალდარგოვან ფირმას, გააჩნია ლიცენზიები ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების შესასრულებლად სათანადო მოწყობილობა-დანადგარების საშუალებით.

დაკომპლექტებულია დიდი გამოცდილებისა და უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით.

ორგანიზაციას აქვს მექანიკური სააქტრო:

შპს „კავკასიური გორაკეობი“-ს შესრულებული აქვს შემდეგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები:

- თბილისრესის მე-9 ენ. ბლოკთან არსებული კონდენსატის დამხმარე 20000 ტნ. ლითონის რეზერვუარების ანტიკოროზიული დამუშავება და შეღებვა;
- თბილისრესის წყლის გამწმენდი ბადეთა საკანის აღდგენითი-სარემონტო სამუშაოები;
- სატუმბო სადგურის პოლიგრაფიკომიდის სათავსოს შეკეთება და მოწყობა;
- თბილისრესის მაგისტრალური არხის ბეტონის ზედაპირის აღდგენა-მოპირკეთება;
- ქ. გარდაბნის ცენტრალური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოედნის მოპირკეთება და სანიაღვრე მილგაყვანილობის მონტაჟი;
- ქ. გარდაბნის განათლების განყოფილების შენობის მეორე სართულის სარემონტო სამუშაოები;
- შპს „მტკვარი ენერჯეტიკის“ №9 ბლოკის ტურბინის საშუალო რემონტი, საშუალო სიმძლავრის ცილინდრის გასწნით;
- შპს „მტკვარი ენერჯეტიკის“ №9 ბლოკის ქვაბის შირმული ორთქლგამასურებლების დამზადება და დამონტაჟება;
- შპს „მტკვარი ენერჯეტიკის“ №9 ბლოკის მკვებავი ტურბონასოსის რემონტი;
- შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“- საკვამლე მილის «H175». რემონტი.
- შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“- სანასოსე სადგურის, სიმძლავრით 2500 მვ/სთ, დაპროექტება.

# KAVKAZENERGOREMONT

E-mail: [energoremont.com@mail.ru](mailto:energoremont.com@mail.ru)  
[www.kavkasenergoremonti.ge](http://www.kavkasenergoremonti.ge)



ორგანიზაციას სხვადასხვა ქვეყნიდან, შერეულ ტიპის სადგურებისათვის სპეციალური რეაბილიტაციური და მოვლა-მშენებლობის სამსახური და მოვლა-მშენებლობა

## პარტნიორები:

რუსეთი - ჩეხოვის - **ЧЗЭМ**, ბარნაულის - **ОАО БКЗ**, ტაგანროგის-**ОАО КРАНЫЙ КОТЕЛЬЩИК**, პენზის არმატურის ქარხანა - **ПЕНЗЕНСКИЙ АРМАТУРНЫЙ ЗАВОД**. სანკტ პეტერბურგი რეზინატექნიკურის ნაწარმი - **ЗАВОД АТИ**. ელექტროდები - **ЭЛЕКТРОДНЫЙ ЗАВОД (ЗАО ЭЛЗ)**

ტურბინისა და გენერატორის სათადარიგო ნაწილები - **«УКРТЕХНОСИНТЕЗ» – УКРАЙНКО БЕЛОРУССКОЕ СОВМЕСТНОЕ ПРОИЗВОДСТВО**

გერმანია - **DRAEGER, SIEMENS, TESTO, ABB** - საკონტროლო მზომი ხელსაწყოები და ელექტრო დანადგარები

უკრაინა - მეტალურგიული ქარხანა - **P.M.PIPE & METAL GO LTD, ОАО «Полтавский турбомеханический завод»**.

ნიკოპოლის მეტალურგიული ქარხანა - **STEELPROM**.

სუმის სატუმბო ქარხანა - **АО «Сумский завод «Насосэнергомаш»**.

ყაზახეთი - **Endress + Hauser I.I. CASG** - მზომი ხელსაწყოები


იტალია - **TARTARINI** - გაზის რეგულატორი

პოლონეთი - **Paros Group** - საინჟინერო ბაზა,

ესტონეთი - **ПО Франсермакс** - გაზონალიზატორები.

ჰოლანდია - **TECO** - საგალცავი ნაწილები,

აშშ - **EMERSON** - მრავალარხანი ტემპერატურის მზომი ხელსაწყო.



დირექტორი: **ზაქარია ისახანდაროვი**.

მობ. +995 599 10 68 61; ტელ/ფაქსი. +372 22 34 72



# ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება

**ს**ამეცნიერო კვლევებმა და მოწინავე სახელმწიფოების პრაქტიკამ ერთმნიშვნელოვნად გაამყარა მოსაზრება, რომ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება რეგიონული განვითარების უმთავრესი ფუნდამენტია. შესაბამისად, ეს ორი სფერო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ხშირ შემთხვევაში სტრუქტურულად ერთადაა წარმოდგენილი. საქართველოში რეგიონული განვითარების ერთ-ერთ წინაპირობად სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება და დეცენტრალიზაცია განიხილება. მიმდინარე წელს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეფორმებია დაგეგმილი, რომლებიც ქვეყნის მთავრობის გეგმის მიხედვით მომდევნო წლებში უწყვეტად გაგრძელდება. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გულისხმობს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების, ხიდების, გვირაბების მოვლა-პატრონობას, ნაპირსამაგრ სამუშაოებს. საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგებას, ნაგავსაყრელების მართვას, ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო, სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოების განხორციელების კოორდინაციას. სწორედ ამ მიმართულებების განვითარება ესაჭიროება დღეს ვანის რაიონს, სადაც მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ზაზა ხურციძე**, თანამოაზრეებთან ერთად, ყველა ღონეს ხმარობს მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.



## – ბატონო ზაზა, მოგვიყვით რაიონში განხორციელებულ პროექტებზე...

– ვანის რაიონში არსებული საკმაოდ მძიმე ვითარების მიუხედავად, სამუშაოები ოდნავადაც არ შეჩერებულა. წარმატებით დავასრულეთ ადრე წამოწყებული რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი და საფუძველი ახალ მიმართულებებსაც ჩაუყარეთ. ეს ეხება, როგორც რეგიონალური განვითარების ფონდიდან, ისე მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებს. აღსანიშნავია, რომ 2015 წელი მაქსიმალურად დავტვირთეთ ინფრასტრუქტურული საკითხებით. მადლობა მინდა მოვახსენო იმერეთის გუბერნატორს, ბატონ ზაზა მეფარიშვილს, რომლის უშუალო ინიციატივით ჩვენი რაიონისთვის გამოყოფილმა თანხებმა 2 მილიონ ლარს მიაღწია. ეს ფინანსები განაწილებული იქნება გზების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, მოხდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, გაგრძელდება გარე განათების მოწესრიგება, ქალაქის კეთილმოწყობა, სოფლებში დასრულდება

სანიღვრე არხებისა და ბოგირების მშენებლობა.

## – უფრო კონკრეტულად ხომ ვერ მოგვახსენებდით?

– ამ ეტაპზე ვანის მუნიციპალიტეტში აქტიურ ფაზაშია ზეინდარი – ფერეთას საავტომობილო გზის მშენებლობის სამუშაოები. 2,5 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთის ასფალტის საფარით მოწყობა, რომლისთვისაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 617 000 ლარი გამოიყო, უკვე დასრულდა. სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია შპს „New Road“-მა შეასრულა და 10 ადგილობრივი მცხოვრები დაასაქმა. აღნიშნული გზის მონაკვეთი რამდენიმე ათეული წელია, რაც არ შეკეთებულა. ის ერთმანეთთან 2 სოფელს აკავშირებს და მისი საშუალებით მოსახლეობა უფრო ადვილად და უსაფრთხოდ გადაადგილდება. მეორე მასშტაბური პროექტი, რომელიც ჩვენი ძალებით განხორციელდება მუნიციპალიტეტის რამდენიმე ბაგა-ბაღის რეაბილიტაციას და მშენებლობას ეხება. გამოცხადებული ტენდერების შედეგად დამტკიცებული პროექტები უკვე დასრულების სტადიაშია და საბავშვო ბაღებს წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში გაეშვება. გარდა ამისა, რეკონსტრუქცია უტარდება ვანის კულტურის სახლს, სპორტულ კომპლექსს და საფეხბურთო მოედანს.



## – რაიონში ჯერაც მოუგვარებელია საავადმყოფოს საკითხი...

სამწუხაროდ, ვანის რაიონული საავადმყოფო ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს. შენობა ამორტიზებულია და რაიონის მოსახლეობას ჯანმრთელობის მოსაწესრიგებლად სხვა ქალაქებში გადასვლა უწევთ. მისასალმებელია, რომ ახლახან მუნიციპალიტეტს სამედიცინო დახმარების ორი ახალი მანქანა გადმოეცა და შპს „რეგიონ-

ალური ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ გარემონტდა მიმღები განყოფილება. თუმცა, ეს პრობლემას ვერ მოაგვარებს. საავადმყოფოს მშენებლობის საკითხზე მუშაობა დაწყებულია და იმედია ყველაფერი რაიონის მოსახლეობის სასიკეთოდ დასრულდება. სამაგიეროდ, გარკვეული კუთხით წინსვლა გვაქვს კონკრეტული სოციალური პროექტების მიმართულებით. მათი დასაფინანსებელი თანხა გაორმაგდა და 400 ათას ლარს მიაღწია. შესაბამისად, მანამდე არსებული 7 პროგრამის ნაცვლად, დღეისათვის რაიონში 13 სოციალური პროგრამა მუშაობს. დოტაცია ვაგუზარდეთ სამედიცინო მომსახურების პროექტს. ვაფინანსებთ, როგორც ზოგად გამოკვლევებს, ისე ოპერაციებს. გაიზარდა მრავალშვილიან ოჯახებზე გამოყოფილი ერთჯერადი დახმარებები. დაფინანსება დაენიშნათ პირველ და მეორე ჯგუფის ინვალიდებს.

**– რაც შეეხება ვანში არსებულ ყველაზე დიდ პრობლემას...**

– საიღმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ ვანის რაიონის მოსახლეობას წლებია გაუმართავი სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის პრობლემა აწუხებს. რაც თავის მხრივ, წვიმის დროს ქუჩებისა და სახლების პირველი სართულების დატბორვას იწვევს, ხოლო საკანალიზაციო სისტემის არარსებობის მიზეზით, მდინარე სულორი ფეკალური მასებით ბინძურდება. რაიონის ბიუჯეტიდან სანიაღვრე-საწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციისათვის ყოველთვის მცირე თანხები გამოიყოფოდა, რაც საკმარისი არ იყო აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. ათათასიანი ქალაქის საკანალიზაციო სისტემის აწყობას რამოდენიმე მილიონი ლარის ინვესტიცია ესაჭიროება. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ცდილობს შესაბამის სამსახურებთან და სტრუქტურებთან ურთიერთთანამშრომლობით მიაგნოს გამოსავალს და თავი მოაბას ამ ძვირადღირებული პროექტის განხორციელებას, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

**– ამ პრობლემის გამო, ალბათ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოგვარებაც ფერხდება...**

– რასაკვირველია, გაუმართავი ინფრასტრუქტურა ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ჩვენ პრობლემები არ გვაშინებს. გადაწყვედა, რომ ვანის მუნიციპალიტეტში ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეკონსტრუქციის ნაცვლად შენობის დემონტაჟი განხორციელდება და ახლის მშენებლობა დაიწყება. არქეოლოგიურ მუზეუმში ბავშვთა საგანმანათლებლო ცენტრი, ბიბლიოთეკები, სარესტავრაციო და ფონდების განყოფილებები განთავსდება, მოეწყობა საკონფერენციო 120 კაციანი დარბაზი თანამედროვე ტექნოლოგიებით, ეზოდან ნაკრძალში გადასასვლელ არსებულ ხიდს გაუკეთდება რეკონსტრუქცია. მუზეუმში ვანის ანტიკური ნაქალაქარის მიდამოებში მდებარეობს და 2006 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შედის. კომპლექსის შემადგენელი კომპონენტებია – ვანის ნაქალაქარი, ექსპედიციის ბაზა და თავად მუზეუმი, სადაც დაცულია მოპოვებული არქეოლოგიური



მასალის დიდი ნაწილი. წარმოდგენილია არქიტექტურა, ოქრომჭედლობა, ბრინჯაოს ქანდაკებები და მათი ფრაგმენტები. გარდა ამისა, ჩვენს მუნიციპალიტეტს ეკუთვნის კერძო საკუთრებაში არსებული კურორტი სულორი, ხუროთმოძღვრების ძე-



გლები და მრავალფეროვანი სარეკრეაციო ზონა, რაც დამატებით სტიმულს მისცემს ვანში რეგიონალური ტურიზმის განვითარებას.

**– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?**

– ვანის მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ პრობლემას მოსახლეობის დასაქმება წარმოადგენს. შესაბამისად, ყველანაირად ვეცდებით ამ მიმართულებით კერძო ინვესტიციების მოზიდვას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის რაიონში ფუნქციონირებს თხილის გადამამუშავებელი რამოდენიმე საწარმო. ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებულია და სულ მალე ამოქმედდება ჩვენს მუნიციპალიტეტისთვის უპრეცედენტო პროექტი. სოფელ ბზვანში დაფინანსებულია გადამამუშავებელი საწარმო გაისხნება, რომელსაც შპს „ქართული დაფნა“ ამოქმედებს. კომპანიას სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 12 351 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი თანდაფინანსების პროგრამით სიმბოლურ ფასად გადაეცა და ინვესტიციის რაოდენობა მილიონ ლარს შეადგენს. საწარმოში დაახლოებით 120 ადამიანი უნდა დასაქმდეს. წარმოებული პროდუქცია კი ექსპორტზე ჩინეთში, თურქეთში, კორეაში, ბულგარეთში, ვიეტნამში და პოლონეთში გავა.





# საშუალო უღვილავის რაოდენობა უნდა ბაიზარლოს



ოგორც მსოფლიოს მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რეგიონების განვითარების პრობლემა ზოგადად ქვეყნის განვითარების პრობლემას წარმოადგენს. გარდამავალ ეტაპზე რეგიონებმა ღრმა სოციალ-ეკონომიკური კრიზისი განიცადეს, რომელმაც მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემები წარმოშვა. შემცირდა სამეწარმეო აქტივობა, ტერიტორიების განვითარების დონებს შორის წარმოიშვა მკვეთრი დისპროპორცია, შეფერხებულად ვითარდებოდა რეგიონული ბაზრები და ეკონომიკური კავშირები, ხოლო ყოველივე ჩამოთვლილი დიდ დანაკარგებს განაპირობებდა. სწორედ ამიტომ, ნიშანდობლივია, რომ მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ მიმართულებას რეგიონული განვითარება, რაიონებში სიღარიბის შემცირება, ინფრასტრუქტურის სრულყოფა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა წარმოადგენს. რეგიონული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა აშკარად გააქტიურებულია. ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ ტერიტორიებზე დარგობრივი და მიზნობრივი პროექტების განხორციელებამ ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლება განაპირობა. ამის დასტურად, ამ დღეებში პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოში ვიზიტით მყოფ ლიტვის პრემიერ-მინისტრ ალგირდას ბუტკევიჩუსს და ლიტვის სამთავრობო დელეგაციას კახეთში, კერძოდ - ყვარელში უმასპინძლა, სადაც საქართველოს მთავრობის მეთაურმა ლიტველ კოლეგას ისტორიული ღვინის საცავი-გვირაბი დაათვალიერებინა და ქართული ღვინის კულტურის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყნის ხელმძღვანელობის განსაკუთრებულ ყურადღებას რეგიონების მიმართ, რაც დამატებითი სტიმულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობისათვის. ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ილია მზაქალაშვილი** დარწმუნებულია, რომ რეგიონებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორის შემდგომი განვითარება ადგილობრივი მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.



– ბატონო ილია, როგორ ჩამთავრეთ გასული წელი?  
– გასული წლის შედეგებით მეტწილად კმაყოფილი ვარ. ყველაზე რთულად კადრების ოპტიმიზაციამ და რეორგანიზაციამ ჩაიარა. მუნიციპალიტეტში კონკურსი 62 ვაკანსიაზე იყო გამოცხადებული და კონკურსანტებმა სამი ეტაპი გაიარეს, ყველა პრობლემის მიუხედავად, ოუსტიციის სასწავლო ცენტრის დახმარებით ტესტირება სრულიად გამჭვირვალედ ჩატარდა. გამგეობის თანამშრომლები პროფესიული ნიშნით შეირჩა და სწორედ მათმა პროფესიონალიზმმა განაპირობა ჩვენი საქმიანობის ეფექტურად განვითარება. ამ ეტაპზე, დაწყებული პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულებულია და 2015 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებია დარჩენილი. ძირითადი აქცენტი რაიონის წყალმომარაგების პრობლემის მოგვარებაზე გაკეთდა. ამ მიმართულებით ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოწესრიგდა სათავე ნაგებობები, სადღეისოდ, აქტიურად მიმდინარეობს შიდა ქსელის მთლიანი გამოცვლა, რასაც ახალსოფელში დასრულებული სამუშაოები ადასტურებს. გარდა ამისა,



აღსანიშნავია წარმატებულად ჩატარებული რთველი. რაიონის მოსახლეობამ ყურძენი მისთვის მოხერხებულ ვადებში და ხელსაყრელ ფასად ჩააბარა და შესაბამისად, კახელი გლეხი კმაყოფილი დარჩა როგორც სახელმწიფოსთან, ისე კერძო კომპანიებთან თანამშრომლობით. რაც შეეხება გზებსა და ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მინდა აღვნიშნო, რომ თითქმის ყველა სოფელში მოვასხერხეთ ცენტრალური ქუჩების მოხრეშვა-მოპირკეთება. დაგეგმილია რამდენიმე მონაკვეთის, მათ შორის - ბაღდოჯიანის შესასვლელის მოასფალტება. გარწმუნებთ, რომ ეს მიმართულება 2015 წელსაც აქტუალური იქნება და მუშაობა ეფექტურად გაგრძელდება.

**– სოციალური კუთხით რა ვითარებაა რაიონში?**

– სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კუთხით ბევრი პრობლემა დაგვხვდა. ამას დაერთო ის გარემოება, რომ ბევრ მათგანს, ახალი რეგულაციების მიხედვით, დახმარება გაუნახვევრდა ან საერთოდ მიეხსნა. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ მათ დავეხმაროთ, თუმცა, მოგეხსენებათ, შეზღუდული ბიუჯეტით ბევრის საშუალებას არ გვაძლევს. აგვისტოს თვიდან მოყოლებული დაახლოებით 800-მდე ადამიანს დავეხმარეთ, რაც ერთჯერად დახმარებებში და სამედიცინო ოპერაციებში აისახა. 100 ოჯახი შევით მოვამარაგეთ, 150 ოჯახი - ფულადი სახსრებით. ფინანსური დანაშაუბები მოქმედებს ყოველ ახალშობილზე.

**– როგორც ვიცი, სიახლე გაქვთ ჯანდაცვის სფეროში...**

– ყვარლის მუნიციპალიტეტში მრავალი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა რაიონული საავადმყოფო ყველა სამედიცინო სერვისებით, სადაც კვალიფიციური კადრები იყო დასაქმებული და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ადგილზე შეეძლო მიეღო ნებისმიერი სახის სამედიცინო მომსახურება. მას შემდეგ, რაც ყვარლის მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრი სადაზღვევო კომპანია „აღდაგს“ და მის შვილობილ კომპანია „ჩემი ოჯახის კლინიკას“ მიეკუთვნა, მოხდა სერვისების შემცირება და კვალიფიციური კადრების სხვა რაიონებში გადაწარმოება. ყვარლის მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრის მომსახურება ამბულატორიულ დონეზე დავიდა, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ მიზანშეწონილად მიიჩნია მუნიციპალური სამედიცინო ცენტრის შექმნა, სადაც იფუნქციონირებს დიაგნოსტიკა, ამბულატორია, სტაციონარი 30 საწოლზე ყველა სამედიცინო სერვისით და სახელმწიფოს მართვის უფლებით გადაეცემა. უკვე მოხდა სამედიცინო ცენტრის განთავსებისათვის შენობა-ნაგებობის შერჩევა და შემუშავდა მათი განვითარების გეგმა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, აქტიურად ვმუშაობთ შესაბამის სამინისტროებთან ერთად და იმედია, ერთობლივი ძალებით აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელი გახდება.

**– რაც შეეხება კულტურის სფეროს და მის განვითარებას?**

– ჩვენი რაიონის კულტურული ცხოვრება სიახლეებით ნამდვილად განებივრებულია. სულ ახლახან საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, კულ-

ტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეგიდით ყვარელში ფოლკლორის ცენტრი გაიხსნა, სადაც სპეციალური პროგრამით, მოზარდებს ქართული ფოლკლორის თითოეულ დარგს უფასოდ შესწავლიან, სწავლის დამთავრების შემდეგ კი წარჩინებულ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ სწავლა გიორგი მთაწმინდელის სახელობის უმაღლეს სასწავლებელში განაგრძონ. სპეციალურად ამ დღისთვის ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი, ანსამბლ „რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე, ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი და კულტურის სფეროს სხვა წარმომადგენლები. გარდა ამისა, რაიონში ფუნქციონირებს კულტურის სახლი, ილიას სახლ-მუზეუმი, მარჯანიშვილის სახელობის მუზეუმი.

**– სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

– როგორც მოგახსენეთ, მიმდინარე წლისათვის დაგეგმილია მუნიციპალური სამედიცინო ცენტრის შექმნა. ბოლომდე მივიყვანთ წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ პროექტს. სოფლებში გაკეთდება გარე განათება და მთლიანად დასრულდება გზების მოხრეშვა. გარდა ამისა, მოსაგვარებელია მოსახლეობის დასაქმების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სხვა რაიონებთან შედარებით ყვარლის მუნიციპალიტეტში ეს მიმართულება მეტნაკლებად მოგვარებულია, პრობლემები მაინც არსებობს. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობით არის დაკავებული, ხოლო მათი ნაწილი კერძო კომპანიებში და ღვინის ქარხნებშია დასაქმებული. მიუხედავად ამისა, ჩვენ აქტიურად ვავაგრძელებთ კერძო ინვესტიციების მოზიდვას და ბიზნესმენების დაინტერესებას, რათა სამუშაო ადგილების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდოს, რაც პირდაპირ აისახება ჩვენი ხალხის სოციალურ მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე.





ქსერტა უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი გააჩნია. გათვლები ადასტურებს, რომ დღევანდელ, მიმდინარე მდგომარეობაში მყოფი ფერმერული და აგროინდუსტრიული წარმოების ხუთჯერ გაზრდა ადვილი შესაძლებელია. განვითარებული სოფლის მეურნეობა შეიძლება გადააქცეს იმ ძრავად, რომელიც ძლიერ ბიძგს მისცემს ეკონომიკურ ზრდას და ინფლაციის შემცირებას. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარებას დადებითი სოციალური შედეგებიც მოჰყვება. ამდენად, ამ სექტორის შემდგომი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ისე სტაბილურობისთვის. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, საჭიროა რეგიონებში მცირე მეწარმეთა შორის მტკიცე თანამშრომლობა, კოოპერატიული მეურნეობების პოპულარიზაციის



# შავიუშავით პრიორიტეტების ნუსხა

კამპანიის უფრო აქტიური ჩატარება და ახლადშექმნილი მცირე ფერმერული ორგანიზაციების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ქსელის შექმნის გზით გლეხებისათვის გაცილებით ხელმისაწვდომი

მომსახურების გაწევა. საქართველოს რეგიონებში ეს საკითხები ეტაპობრივად ხორციელდება და დადებითად მოქმედებს ეკონომიკური განვითარების სტიმულირებაზე. ყვარლის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა. სირთულეების მიუხედავად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ცდილობს წარმატებით გაართვას თავი მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ჯემალ შავარდაშვილი** იმ პრობლემატურ საკითხებზე გვესაუბრა, რომელიც ზოგადად კახეთის რეგიონში, და მათ შორის ყვარელშია აქტუალური...

— ბატონო ჯემალ, რა პრობლემებია ყვარლის რაიონში?

— გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად რამოდენიმე საკითხია სასწრაფოდ მოსაგვარებელი. მოგვსენებათ ყვარელში, საირიგაციო სისტემების კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოები ათეული წლებია არ ჩატარებულა. შედეგად მწყობრიდან გამოსულია სარწყავი არხები, რაც უარყოფითად აისახება მოსავლიანობაზე და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს არაეფექტიანს ხდის. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ერთ-ერთ პრიორიტეტს ქვეყანაში საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების ფუნქციონირების გაუმჯობესება წარმოადგენს. თუკი მოესწრება და მორწყვის პერიოდისთვის აღდგენილი იქნება რამოდენიმე სარწყავი არხი, ეს გარემოება მომავალი წლის მოსავლიანობის გაზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, ილიას

ტბაზე, რომელიც სარწყავ საშუალებას წარმოადგენს, ჩვენ შევიმუშავეთ პროექტი დამცავი კედლის ასამაღლებლად, რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ რეზერვუარში წყლის მოც-



ულობა და მოსახლეობას დამატებით 400 ჰექტრის მორწყვის საშუალება მივცეთ.

— როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტში მოსაგვარებელია მიწის საკუთრების საკითხიც...

— ეს პრობლემა ჩვენს მუნიციპალიტეტს დიდი ხანია აწუხებს. თავის დროზე, ელექტრონული ბაზის არარსებობამ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით დიდი ქაოსი შექმნა. ამ დრომდე დასადგენია პრივატიზაციით გადაცემული ნაკვეთების რაოდენობა, რეგისტრაციის გარეშეა დარჩენილი ასობით ჰექტარი მიწა. ეს გარემოება, თავისთავად აფერხებს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული დახმარების სწორად განაწილებას და ვაუჩერების დარიცებას. რაიონში გართულებულია



შემოდგომაზე შევიცარიიდან ველოდებით თემატურ დელეგაციებს სხვადასხვა სფეროს (მეღვინეობის, მეცხოველეობის, მეხილეობა-მებოსტნეობა) გაერთიანების და მათი კონკრეტული პარტნიორი ფირმების წარმომადგენლობის შემადგენლობით, რომლებიც გაგვიზიარებენ თავიანთი გამოცდილებას და არ გამოვირიცხავ, რომ მოახდინონ ინვესტიციების ჩადება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს შექმნის მიზნით.

**– სამომავლო გეგმებს რაც შეეხება?**

– მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონებული იქნა 3 წლიანი პრიორიტეტების ნუსხა. ეს პრიორიტეტები რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. მიმდინარე წელს ნაწილობრივ მოვაწესრიგებთ სას-

მელი წყლის საკითხს. გარდა ამისა, სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრებისთანავე, დაიწყება გზების გარკვეული მონაკვეთების აღდგენა-მოასფალტება. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის რამდენიმე საბავშვო ბაღს. კვლავაც პრიორიტეტული იქნება სოციალური კუთხით მიმართული პროექტების განხორციელება, საკრებულოში შექმნილი სამუშაო ჯგუფი უკიდურესად გაჭირვებული და ცუდ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის პრობლემებს შეისწავლის და მათი მოგვარების გზებს დაგეგმავს. ყველა მიმართულებით განვითარება შეიმჩნევა და ჩვენ ვცდილობთ საკუთარი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ საერთო საქმეში. ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში პროგრესი უფრო ნათელი იქნება.

კოპერატივების ჩამოყალიბება, ვინაიდან იურიდიულად ვერ ხერხდება საკუთრების დამტკიცება. გარდა ამისა, გაურკვეველია მიწის გადასახადების საკითხიც. ეს ყველაფერი კომპლექსური სამუშაოა და ჩვენ ვცდილობთ პრობლემა ეფექტურად და მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოვაგვაროთ.

**– ეს გაურკვეველობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე აისახება...**

– ამ საკითხის მოგვარება ყვარლის მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვან თანხებს შემატებს. ყველა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომ დარეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში რეალურ მეპატრონეზე, მაშინ მნიშვნელოვნად უნდა შევსებულიყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. გარდა ამისა, ვმუშაობთ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვაზე. ურთიერთთანამშრომლობის მეორხანდუმი გაგაფორმეთ ლატვიელ კოლეგებთან. უცხოური ინვესტიციებით დამონტაჟდა სტიქიური უბედურების შემთხვევაში მოსახლეობის საევაკუაციო სასიგნალო სისტემა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისათვის. მოგეხსენებათ, მდინარე დურუჯის კალაპოტის აღიდგამ რამდენჯერმე დიდი ტრაგედიაც დაატრიალა. ძველად კალაპოტი რეგულარულად იწმინდებოდა, თუმცა ახლა ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობთ შესაბამის სტრუქტურებთან, რათა გამოინახოს სახსრები და მოსახლეობა საფრთხისგან დავიცვათ.

**– ბატონო ჯემალ, რა სიახლეა მუნიციპალიტეტში?**

– სულ ახლახან, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში სოფლის სახლის - საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო და წლის ბოლომდე დასრულდება. შედეგად, სოფლის მოსახლეობას ხელი შეეწყობა სხვადასხვა საჯარო და კერძო სერვისების მიღებაში.

ამასთანავე, აქტიურად ვმუშაობთ ადგილობრივი წარმოების პროდუქტის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნაზე და გასაღების ბაზრის მოძიებაზე.





**გ**ორის მუნიციპალიტეტი საქართველოს ძირითადი საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალის გასწვრივ მდებარეობს და წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი სამრეწველო და აგრარული პოტენციალით გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ, ამ მუნიციპალიტეტის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა და ერთმნიშვნელოვნად დამძიმდა. ოკუპირებული ტერიტორიების მიჯნაზე მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც სასოფლო სამეურნეო თუ სხვა სახის საქმიანობას ეწევიან, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, საკუთრების და სხვა უფლებების დარღვევის რეალური საშიშროების წინაშე დგანან. რუსი ჯარისკაცების მიერ მავთულხლართების გავლების შედეგად, გარკვეული რაოდენობის საცხოვრებელი სახლი საოკუპაციო ხაზის მიღმა აღმოჩნდა და ადგილობრივი

მოქალაქეები საკუთარი ქონებით დღემდე ვერ სარგებლობენ. მოსახლეობა შიშის ქვეშ ცხოვრობს და მათთვის იქ ყოფნა საფრთხეს წარმოადგენს, ხოლო ბოლო პერიოდში ადამიანების გატაცების ფაქტებმა ადგილობრივთა შიში კიდევ უფრო გაამძაფრა. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს ყველა შესაძლო დიპლომატიური თუ სამართლებრივი ბერკეტი გამოიყენოს საკუთარი მოქალაქეების უფლებების დასაცავად. ვითარების შესაცვლელად ძალ-ღონეს არ იშურებს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა. სასიხარულოა, რომ მთელ რიგ მიმართულებებში პროგრესი უკვე შეინიშნება. აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის, სასმელი და სარწყავი სისტემების მოწესრიგება, მუნიციპალიტეტში კონცენტრირებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ყურადღება არ აკლიათ დევნილ და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. სწორედ ამ საკითხებზე და გორის მუნიციპალიტეტის მიმდინარე სხვა საიხლებზე, მუნიციპალიტეტის გამგეობელი, ბატონი **დავით ონიაშვილი** გვესაუბრა.

## თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება

– ბატონო დავით, რა ვითარებაა გორის მუნიციპალიტეტში?

– მუნიციპალიტეტში უამრავი პრობლემაა გადასატყველი. განსაკუთრებით მწვავედ ღვას ინფრასტრუქტურის განვითარების

საკითხი. ჩვენი აზრით, პირველ ეტაპზე, მოსავარებულია მოსახლეობისათვის სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდების საკითხი. სწორედ ამიტომ, გასულ წელს აქტიურად მიმდინარეობდა ამორტიზირებული წყალმომარაგების სისტემის მოსაწესრიგებელი სამუშაოები. პროექტები ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის გამანაწილებელი ქსელისა და ჭაბურღილების რეაბილიტაციას, წყალსაწნეო რეზერვუარების, სათავე ნაგებობებისა და ტუმბო-აგრეგატიანი ახალი ჭაბურღილის მოწყობას. ეს პროექტები წელსაც გრძელდება და სამუშაოების დასრულების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა მოწესრიგებული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით შეძლებს სასმელი წყლის მიღებას, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს წყლის დებეტის მომატებას. სწორედ ამ პროექტების დასრულების შემდეგ დავიწყებთ გზების მოასფალტებას, რადგან მიმდინარე სამუშაოებმა საფარი არ დააზიანოს და ბიუჯეტმა არ იზარალოს.

– კიდევ რა პროექტები განხორციელდა მუნიციპალიტეტში?

– ბოლო რამოდენიმე თვის განმავლობაში ძალიან ბევრი პროექტი განხორციელდა, შევეცდები რამოდენიმეზე შევამჩნეოთ თქვენი ყურადღება. ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით კონფლიქტისპირა სოფლებში მოხდა 8900 ოჯახის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა. საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დასრულდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სათემოში. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოიცვალა სასურ-



ავი და მოწესრიგდა სასმელი წყლის სისტემა. სახურავი და კარ-ფანჯარა გამოიცივალა ასევე ქიწნისის მეურნეობის საბავშვო ბაღში. რეაბილიტაცია ჩაუტარდა მინი სტადიონს სოფელ ძევერაში, სადაც წელს დაგეგმილია საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განვახორციელებთ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი დევნილთა



თა სამკურნალო ხარჯები. ყურადღებას არ ვაკლებთ სტუდენტებს. უახლოეს მომავალში ვაპირებთ განვიხილოთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ტრანსპორტით მომსახურებაზე გადასახადის შექცევების ან საერთო

კოლექტურ დასახლებებში. გაიწმინდა სანიაღვრე სისტემები და მოეწყო სადრენაჟე არხები, განხორციელდა წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, ამოქმედდა დამატებითი სატუბში სადგურები. ლატვიის ელჩთან, ელიტა გაველესთან თანამშრომლობის შედეგად ლატვიის საელჩო ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლერე სოფელ დიცის საბავშვო ბაღს ინვენტარით და საჭირო ტექნიკით მოამარაგებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ეზოს მოწესრიგება და გახსნა თვის ბოლოს იგეგმება. პროექტის საერთო ღირებულებამ 10 000 ლოლარი შეადგინა.

**– სოფლის მხარდაჭერის პროგრამებს რაც შეეხება?**

– როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი თებერვლიდან დაიწყო და მას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირების გაგრძელებას მათ მდგრად და განვითარებად ფერმერულ მეურნეობებად ჩამოსაყალიბებლად და ორიენტირებულია გლეხების მაქსიმალურ ხელშეწყობაზე.

**– როგორია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ფონი?**

– სამწუხაროდ, გორის რაიონში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ყველაზე დიდი მაჩვენებელია. მათ ემატება დევნილები და სოციალურად დაუცველი მოსახლეობა. სწორედ ამიტომ, ამ მიმართულების პროექტების დაფინანსება 2015 წლის ბიუჯეტით თითქმის 3-ჯერ გაიზარდა, თუმცა ესეც ზღვაში წვეთია. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ვხმარობთ სიტუაციის გასაკონტროლებლად. შეძლებისდაგვარად ვეხმარებით ბენეფიციარებს: ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებისთვის შემუშავდა სპეციალური პაკეტი, რომლის ღირებულება 1500 ლარს შეადგენს. 1000 ლარამდე გავზარდეთ ცერებრალური დამბლით დაავადებულ-

თოდ გაუქმების საკითხი.

**– 2015 წლის პრიორიტეტად რა არის მიჩნეული?**

– წელს მუშაობა გაგრძელდება, როგორც სასმელი წყლის, ასევე სამელიორაციო სისტემის მოსაწესრიგებლად. კვლავაც აქტუალური იქნება საოკუპაციო ხაზის მიღმა დარჩენილი თუ ოკუპირებული ტერიტორიების მიჯნაზე მცხოვრები მოქალაქეების დახმარება, რომლებიც გამუდმებით თავისუფლების უკანონო აღკვეთის, თუ სხვა უფლებების დარღვევის რეალური საშიშროების წინაშე დგანან. გაგრძელდება სოციალური პროექტების მიმართულებით აქტიური მუშაობა. გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში შეიქმნება ცენტრები, რომლებიც მომავალი თაობის პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებენ. მათი ჩართულობით ვგეგმავთ განათლების, კულტურის, ინფრასტრუქტურის და სპორტის განვითარების კუთხით სოფლად არსებული პრობლემების მოგვარებას. ზოგადად გვინდა, რომ მოსახლეობამ მიიღოს მონაწილეობა საკუთარი სოფლის თუ უბნის პრობლემების მოგვარებაში. ჩვენ მუდამ მივესალმებით მათ აქტიურობას და ვფიქრობთ, თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება.



სამთო კურორტზე განთავსებული 4 ვარსკვლავიანი სასტუმრო „ბორჯომი-პალასი“ გთავაზობთ მშვიდ და კომფორტულ გარემოს სასიამოვნო დასვენებისათვის. სასტუმროს აქვს 91 სხვადასხვა ტიპის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ოთახი.

სასტუმრო-სანატორიუმ „ბორჯომი-პალასში“ ფუნქციონირებს სამკურნალო გამაჯანსაღებელი სპაცენტრი. უახლესი აპარატურით აღჭურვილ სადიაგნოსტიკო კაბინეტებში ტარდება სხვადასხვა გამოკვლევები: ულტრასონოგრაფია, დოპლეროგრაფია, ორსულთა გამოკვლევა ხდება 4D - ულტრაბგერით აპარატზე, ეზოფაგოდუოდენოსკოპია, კლინიკო-ბიოქიმიური ლაბორატორია. კუჭისა და ნაღვლის წვენის გამოკვლევა. კონსულტაციებს ატარებენ მაღალკვალიფიციური ექიმები. თერაპევტი, გასტროენტეროლოგი, უროლოგი, გინეკოლოგი, კარდიოლოგი, და რადიოლოგი.


საპროცედურო კაბინეტებს ემსახურება გამოცდილი და კვალიფიციური მედ-პერსონალი: ტარდება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ამორეცხვა. კოლინოთერაპია მინერალური წყლით, გინეკოლოგიური გამორეცხვა. ასევე ფუნქციონირებს აპარატული ფიზიო-სამკურნალო კაბინეტი: ნევრალგიების, ქრონიკული ტონზილიტების, რადიკულიტების, გაიმორიტიების, კუჭის, ღვიძლის და ნაწლავების პერი-სტალტიკის გასაუმჯობესებელი ელექტროპროცედურები, ვეგეტო-დისტონიების სამკურნალო ფიზიოთერაპია.

სამკურნალო და სარელაქსაციო მასაჟის კაბინეტი. უახლესი აპარატურით აღჭურვილი კოსმეტოლოგიური კაბინეტი. ჩვენთან შეგიძლიათ გაიკეთოთ ფოტოეპილაცია და სხვა მრავალი პროცედურა. მხოლოდ ჩვენს სანატორიუმში შეგიძლიათ მიიღოთ სპა-კაპსულა „დერმალაიფ“, რომელიც გთავაზობთ: მინერალური წყლით, რბით, თაფლით, გვირილის და ორკბილას ნაყენით, ღვინის ექსტრაქციით პიდროთერაპიას, ჰიდრომასაჟს, ამასთან ერთად ორთქლის, სხვადასხვა არომატების და ქრომოთერაპიას. ელექტროტალანის პროცედურებს.

რეგიონში მხოლოდ ჩვენს სასტუმროში არის ესთეტიკური მედიცინის კაბინეტი, სადაც შეგიძლიათ გაიკეთოთ შემდეგი პროცედურები: თმის მოცილება (ფოტოეპილაცია), კანის გაახალგაზრდავება, პიემენტური ლაქების მოცილება, სისხლძარღვთა თერაპია, აკნეთურაპია, ნაოჭების თერაპია.

ასევე გთავაზობთ: საცურაო აუზის, ფიტნესის, თურქული ჰამამის და საუნის მომსახურებას. ბორჯომის უნიკალური კლიმატის და ჩვენი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ხელშეწყობით ვექმნებით საუკეთესო პირობები დასვენების, მკურნალობის და პროფილაქტიკისთვის.

# სასტუმრო „ბორჯომი-პალასი“



## Hotel-Sanatorium „BORJOMI PALACE“

ბორჯომი, გამსახვილი ქ. ბელ. +995 32 243-00-33

### სასტუმროში ფუნქციონირებს:

- რესტორანი
- აუზი
- საუნა
- ჯაზუზი
- ბრანაჟორების ღარბაზი
- მავიღის მობარათი
- მავიღის ჰოზაი
- საბილიარლო ზულის მავიღით
- ღვიღის სასლი
- ღია ბუნგალო
- საბუნგარევიო ღარბაზი
- საბილიციმო ცანბარი
  - 24 სათიანი ღაცვა
  - აღვიღი ჰარბიარბისათვის
  - ჯო

### ოთახებში არის:

- ზღაზმარი ბაღავიზორო
- უახალო ინბარნბი
- ბაღაზონი
- სვაღი ნარბიღაბი ზხაზ-აბიღით
- მიღი-ბარი
- საიფი
- ჰიღიანარი საბუღაბაბის ნაარაბი
- ჰირსახოცი
- ხაღაღი
- რუსბაბი
- თიღის საზრობი







# GCBB

საქართველოს ცენტრალური  
სისხლის ბანკი -

## სიცოცხლის საღარაჯოა

„საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“ თავისი დაარსებიდან 80 წელს ითვლის. 1932 წელს, აკადემიკოს გ. მუხაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სისხლის გადასხმის ცენტრალური სადგურის სახელწოდებით. 2010 წლის მარტში ქართველი ინვესტორის და ქველმოქმედის, ქალბატონ ნატო კვანტალიანის მიერ მოხდა სს „სისხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრის“ შესყიდვა და მისი მოდერნიზება. სახელმწიფოს წინაშე აღებულ იქნა ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრში ინვესტიციის განხორციელებას და ახალი ბანკის შექმნას. ცენტრს გაუკეთდა მოდერნიზება და 2010 წლის აგვისტოდან სამსახური გადაკეთდა შპს „საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“. ცენტრალური სისხლის ბანკი ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი საბაზისო ცენტრი იყო და ადგილმდებარეობითაც და პროდუქციის ხარისხით სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი შენარჩუნება დღესაც ხორციელდება. აქ დასაქმებული ადამიანებისთვის პრინციპული პრიორიტეტი ხარისხია. აცნობიერებენ რა, პაციენტის ისედაც მძიმე წუთებში, როცა მას სისხლი ესაჭიროება და სიკვდილსიცოცხლის ჭიდილშია კიდევ არ დაუმძიმდეს მდგომარეობა დაშვებული შეცდომით. აქ მომსახურება ყველა უმაღლესი და საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ხდება, რაც მკაცრად კონტროლდება. კომპანია ითვლის არაერთ სისხლის გაჩუქების საქველმოქმედო ღონისძიებას. სისხლის გაცემა არ არის კონკრეტული ავადმყოფებისთვის ან ლეიკემიით დაავადებულთათვის. კომპანიის ღვივია – სისხლი ყველას, ვისი სიცოცხლეს საფრთხეშია!

GCBB- ძირითადად ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი ხარისხის მომსახურებითა და პროდუქციით ნელ-ნელა მთელს ამიერკავკასიაში იმკვიდრებს ადგილს. უანგარო ღონისძიებებისთვის კომპანიამ შეიმუშავა დაზღვევის პრინციპი მაგალითად: ღონორმა, თუკი ორჯერ ჩააბარა სისხლი, ნთვის განმავლობაში მას და მის ოჯახს წევრებს კომპანია სისხლის უფასო მიწოდებით უზრუნველყოფს. გარდა ამისა უფასოდ უტარდებათ ისეთი ძვირად ღირებული ანალიზები, როგორცაა C და B ჰეპატიტები, შიდსი, სიფილისი, სისხლის საერთო ანალიზი.

14 ივნისი, სისხლის უანგარო დონორობის მხარდასაჭერად და პატივისცემის ნიშნად, დონორთა დღის მთელი მსოფლიო აღნიშნავს.

**იყავი გულისხმიარი, გაიღა სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე!**



მის: ქავთარაძის 21/ა  
<http://www.geocbb.com>  
T: 218\_91\_77; 254\_53\_19

# REAL PALACE

Building Company

Georgia, Batumi.


Tel.: +995 593 12-47-47

+995 514 07-47-47

+995 514 68-47-47

realpalace2012@gmail.com

www.real-palace.com



მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი „Real Palace“ - ნაშენი სახსენებელი უძველესი ქოვერის განაშენიება

**Real Palace** აგრძელებს მრავალსართულიანი ბინების მშენებლობას ბათუმში. მშენებლის მიერ დაგეგმილი უძველესი ქოვერის განაშენიება და 453 აპარტამენტი უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს და უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს.

მშენებლის მიერ დაგეგმილი უძველესი ქოვერის განაშენიება და 453 აპარტამენტი უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს და უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს.

18 სართულიანი საცხოვრებელი უძველესი ქოვერის განაშენიება და 453 აპარტამენტი უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს და უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს.

25 სართულიანი საცხოვრებელი უძველესი ქოვერის განაშენიება და 453 აპარტამენტი უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს და უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს.

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ნაშენი სახსენებელი უძველესი ქოვერის განაშენიება და 453 აპარტამენტი უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს და უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს.

ბინებიდან მიიღება სასაქონლო უძველესი ქოვერის განაშენიება და 453 აპარტამენტი უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს და უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს.

ქოვერის განაშენიება და 453 აპარტამენტი უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს და უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს.

მ.შ.ს. „Real Palace“ ბინის მშენებლის მიერ დაგეგმილი უძველესი ქოვერის განაშენიება და 453 აპარტამენტი უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს და უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებს.



კანკონის დათბუნების სისტემა

თბილი.დამაჯი.  
ვეღევი.

